



## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

#### საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება

ეროვნული ბანკის 2018 წლის 14 ნოემბერის განცხადების მიხედვით, 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება ფიზიკურ პირებზე სესხის გაცემის დებულება, რომლის თანახმად სესხის გაცემა სესხის გამცემის მიერ იკრძალება ფიზიკურ პირზე გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. ამასთან, სესხის გამცემებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ, შეამოწმონ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და არ დააკისრონ მას შესაძლებელზე მეტი ტვირთი (სესხი, თავდებობა).

დებულებით განსაზღვრული რეგულაციები ერთდროულად გახდება სავალდებულო, როგორც კომერციული ბანკებისათვის, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, საკრედიტო კავშირებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის.

## კანონპროექტი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი განიხილავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში ინიცირებულ ცვლილებებს, რომელთა თანხმად, მკაცრდება უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის ბინადრობის ნებართვების გაცემა. შესაბამისად, კანონში შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

- გაუქმდეს კანონით განსაზღვრული საფუძველი მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გაცემასთან დაკავშირებით, კერძოდ, მაშინ, როდესაც ის ფლობს საკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში;
- გაიცეს საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა უცხოელზე, ნაცვლად 300 000 ლარისა, 500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტამდე ლარში ინვესტიციის განხორციელებისა და ამის ფარგლებში არანაკლებ 50 საქართველოს მოქალაქის დასაქმების შემთხვევაში;
- გაიცეს მუდმივი ცხოვრების ნებართვა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე და შვილზე;
- გაუქმდეს მუდმივი ბინადრობის ნებართვა ინვესტიციის განხორციელების შემთხვევაში.

## კანონპროექტი სოციალური მეწარმეობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს სოციალური მეწარმეობის შესახებ, რომლის მიზანია სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის სამართლებრივი საფუძველების შექმნა.

სოციალური მეწარმეობა არის სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ემსახურება სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფას, მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებას, აგრეთვე სოციალური მიზნების მიღწევას განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და გარემოს დაცვის სფეროებში.

კანონპროექტის მიხედვით, სოციალური საწარმო არის იურიდიული პირი, რომელიც კანონით განსაზღვრულ სხვა კრიტერიუმების არსებობასთან ერთად, ვალდებულია მოგების არანაკლებ 70%-ის რეინვესტირება განახორციელოს წესდებით გათვალისწინებული სოციალური მიზნების მიღწევისათვის წარმოებულ საქმიანობაში.

საწარმოთა (შპს, სს, კოოპერატივი) სოციალური საწარმოს სტატუსი ექვემდებარება რეგისტრაციას. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს სოციალური მეწარმეობის სფეროში, ითვლება სოციალურ საწარმოდ და აქვს უფლება მოითხოვოს სტატუსის რეგისტრაცია.

# საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

### გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

### გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

### თბილისი ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო  
Tel: +995 (32) 224 45 66  
Fax: +995 (32) 224 45 69  
deloitte.ge

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 264 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.